№ 196. 17 სეკტემბერი, ოთხშაბათი. 1866—1880 17 სეკტემბერი, ოთხშაბათი. № 196.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**
ერევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლორის-[illegible] სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**
მიიღება „დროებისა“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ ре[illegible] „Дроэба“ и „Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ქართული თეატრის საქმე

ამ მოკლე ხანში ქართული წარმოდგენები დაიწყება ბ. არწრუნის თეატრში. ძველ მოთამაშეებს გარდა ტრუპპა იქნება შევსებული ახალ-ახალი პირებისაგან და ამას გარდაც სცენის მოყვარეებმაც აგვითქვეს საჭიროების დროს შემწეობა; მათს რიცხვში ბ. ქორიძემაც. ჩვენ ვეცდებით, რომ უფრო ხშირათ ახალ-ახალი პიესები წარმოვადგინოთ, უმთავრესი ყურადღება ექნება მიქცეული ჩვენის ცხოვრებიდამ აღებულ დრამმებს. ფასი ჩვეულებრივი იქნება. სახლზედ ბილეთები არავის არ გაეგზავნება.

აკაკი.

1 ენკენისთვიდამ წლის დამლევამდის

**დროება**
ღირს სამი მანეთი

**ივერია**
ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად
შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

(სალხთა შორის სააგენტოსი)

**გრაოზა**, 14 ენკენისთვეს. სეიმურმა, კრემერმა ჰინკოტეტიმ და *Vittoria* და *Palestro* გამანდ.რმა და ინგლისის რამდენიმე აფიცრებმა ამ დამით „ხელიცონის“ გემით დაათვალიერეს ალბანიის ნაპირები; საფრანგეთის გემების უფროსები გრაოზაში დარჩნენ. „ხელიცონი“ გრაოზაში დაბრუნდა.

## ჩვენი უდარდელობა
## და
## ქართული ენის ბედი.

ტფილისი, 16 ენკენისთვეს.

რა ხალისი უნდა ჰქონდეს ქართველ მწერალს, რამ უნდა განამხნეოს და სული ჩაუდგას მის ნაწერს, როდესაც ის წინ-და-წინ დარწმუნებულია, რომ მისმა ნაწერმა, როგორც კლდოვან ადგილზე დაგდებულ „იგავის“ თესლმა, უნაყოფოთ უნდა ჩაიაროს? სად ჰყავს იმას ისეთი თანამგრძნობელი მკითხველი საზოგადოება, რომელმაც ეხო (ბანი) მოსცეს მწერლობას, რომელსაც ყოველს საზოგადო საქმეების გარჩევაში მწერლობა ეგულებოდეს, როგორც პროფესსიონალური (ხელობითი) მრჩეველი და ელოდეს იმისაგან თავის მოქმედების პროგრამმას, თავის *mot d'ordre*-ს?

ამ ბედნიერს დრომდის ქართველ მწერალს ბევრი დარჩომია. ბევრმა ხანმა უნდა განვლოს, სანამ მისი მკითხველი საზოგადოება აიწევს იმ სიმაღლეზე, რომელზედაც გონიერი კაცის სიტყვას, ნიჭიერი მწერლის ნაწერს ექნება ისეთი გავლენა, როგორიც გავლენა აქვთ, მაგ. გამბეტის სიტყვას და ჟირარდენის, ან როშფორის ნაწერს საფრანგეთში. მანამ კი, ამ სანატრელ დრომდის, ჩვენში, რაც უნდა გაცხარებული და სიმართლით სავსე სტატია დაიწეროს, თუნდ ის სტატია, მელნის მაგიერ „გულის სისხლით და ნერვებით“ იყოს დაწერილი და „განწირული სულის კვეთებით“ აღსავსე, ჩვენს ნაწერს ისეთივე ბოლო მოელის, როგორი ბოლოც აქსზივიშვილის და კომპ. ლექსებს, ე. ი. იმას წაიკითხავენ ისეთისავე შედეგით, რა შედეგითაც კითხულობენ ჩვენი ახალი ფორმაციის პოეტებს.

რა უნდა უყოს კაცმა ამ გულგრილობას და რითი უნდა ჩაიდგას სული ქართველმა მწერალმა? ვის არ გაუგონია, რომ მარტო ერთმა როშფორის სტატიამ, ვიკტორ ნუარის მოკვლის მეორე დღეს, მთელი პარიჟი ფეხზე წამოაყენა? რა გული უნდა ქონოდა იმ დღეს როშფორს და რა გული უნდა ქონდეს ჩვენ ქართველ მწერალს, როდესაც მის სისხლით დაწერილ სტატიას ბანი მარტო ქართული გულ-გრილობიდამ მოსდის?

„Увы! мечты поэта историкъ
строгій гонитъ вонъ!“

ეს გული, ეს წახალისება, ეს ზნეობითი ბარჯგი არა აქვს ქართველ მწერალს და ამიტომ, ფატალურათ, იმის ნაწერსაც აკლია სიცოცხლეც, ძალაც, გავლენაც. როგორიც ერი ისეთი ბერიო, უთქვამს ანდაზას.

მაგრამ მწერლობა კიდევ არაფერი, —შეიძლება საზოგადო საქმეები უმწერლობოთაც გაკეთდნენ. ახლა ის ვნახოთ, აქვს თუ არა ქართველებს საზოგადო საქმისთვის მაინც ყურადღება მიქცეული? არ ვამბობთ სააზნაურო ბანკებში მონაწილეობაზე, „წერა-კითხვის საზოგადოების“ თანაგრძნობაზე, სხვა-და-სხვა საზოგადო საშუალებით დაწესებულ უწყებაებზე, რომელთაც საზოგადოების თანაგრძნობა და შემწეობა სჭირიათ. არა. ჩვენ ისეთ საზოგადო საქმეს ვამბობთ, რომელიც თითოეული ქართველისთვის საჭიროა, რომელიც მართლა საზოგადო, საყოველთაო საჭიროება არის, როგორც, მაგალითებ, შვილების გაზრდა, მათ კეთილ-დღეობაზე ზრუნვა, რჯულის და ენის შენახვა, გვარ-ტომობის ღირსების დაცვა და სხვ.

სულ ყველა აქ გამოჭრელებულ გრძელ კითხვებს ერთი მოკლე და ენერგიული პასუხი აქვს. ეს პასუხი არის: არა. საზოგადო საქმისათვის ჩვენ არც ისტორიული პირობა გვქონია, არც სამოქალაქო აღზრდა, არც ტემპერამენტი. უკუნითი უკუნიდგან შემოღებული ჩვეულება, ღვიძლი ენა, ძველათ-ძველი კანონი საზოგადოების ხორც-სისხლში შესრულები საკმაოა უეზდის უფროსის მოწერილობამ დაგვატოვებინოს ოც-და-ოთხი საათის განმავლობაში... არავის არ მოუვა თავში, არც დიდებს და არც პატარაებს, ხმა ამოიღონ ამ საგანზე და დაგვირჩინონ ეს სასარგებლო და გამოსადეგი ჩვეულება, ენა, კანონი, როგორც უწყინარი, უვნებელი... მგონია, დღეს რომ ბრძანება გამოვიდეს: ქართველმა თოფ-იარაღის ხმარება არ გაბედოს, ჩოხის მაგიერ ბლუზი ჩაიცვას და ზურნის მაგიერ ბარაბანი უკრანო;

---

**დროების ფელეტონი, 17 ენკენისთვე**

## ახალი შენიშვნანი

ამ ორი თუ სამის წლის წინად, შეძენილმან სამესხეთის ნაწილმან ჩვენი მწერლები დიდ აღტაცებაში მოიყვანა. ვინც არა მგონია იღებდნენ ხელში კალმებს და თავიანთ ტკბილი სამშობლო მამულის მოსიყვარულე გულის ხვაშიადებს დაუზოგველად ხატევდნენ თავიანთ აღწერილს ფელეტონებში და გაიძახ-გამოიძახოდნენ საქვეყნოდ. აქვთ მრავალი სიხარული, მხიარულება, განცხრომა, ტრფიალი და ფართფარუქება, იქამდის ვიდრე დიდის ხნის მიცვალებულთაც საფლავებში ჩასძახოდნენ, რომ სამას ოთხასის წლის დაშორებულნი ძმანი შევიერთეთ, მტრის ხელში ტყვე ყოფილნი დავიხსენით და გავათავისუფლეთო. ამით გვეგონა, ეს არის მოგვშორდა მათ გამოისად დიდის ხნის მოლმა გულზედ შემოქნილ-შემოწოლილი კაეშნებიო. ამას იქით ხელიხელს მიცემით ძმურად ვიმოქმედებთ აწ მყო და მომავალს ჩვენის ცხოვრების საჭიროებას ყოველი ნაბიჯის წინწადგმაზედაო!...

ამ სასურველს მოვლენას შეუდგა ყოველგან ტკბილი მოპყრობა და ლმობიერი ძმური დამაახლოვებელი საუბარ-შექცევანი. პირად ბევრს კეთილ ბედნიერებას ვჰპირდებოდით მათ გულის მოსაგებად და შესათვისებლად, ისინიც მისდაგვარ წყნარულობდნენ ყოველს ჩვენს კეთილ სურვილსა სიტყვა-სიტყვად და მასთან დიდის იმედით მოელოდნენ სიტყვის შემდგომს საქმესაცა, გარნა ნაყოფი კი ვერა ნახეს-რა. მით უქმად ჩაიარა ჩვენმა სიტყვით შრომამ. ჩვენი ტკბილი ენა, ტბილი მოპყრობა ჩვენთანვე დარჩა და იმათ კი ვერც გული მოვუგეთ და ვერცა რა შევითვისეთ ჩვენ, რადგან ჩვენ სიტყვა საუბარს უკან არავითარი საიმედო კეთილ-მოქმედება არ მიჰყვა! ამ შემთხვევაში ჩვენ დამლა დაცემული კაცის გზა-კვალი დავიჭირეთ, რომელიც პირად სიტყვით ბევრს რასმეს გაიძახოდეს საქმნელად და თვითან კი სახსრების უმოძრაოდ იდვას ერთს ადგილას.

ჩვენ ნაკლულევანებას დაემატა ერთი ათად და ასად ადგილობრივის ადმინისტრაციისაგან განწესებული უნიჭო და უხასიათო მოხელეების მოუთავსებლობანი, მარტო არა თუ იმათ სატკივარს არავითარი წამალი არ დაადეს, არამედ მეტად მოაძაგეს თავი და მოიფთხეს ერთიან დიდით წვრილამდის. ახლა გამოუკრიათ თავი კალთაში ყოველის მხრით იმედ გარდაწყვეტილთ და მირბიან ისევ ოსმალებში, იმათთან ტყვეობას უფრო სიყვარულით კისრულობენ, ვიდრე ჩვენთან თავისუფლებასა. რისგან ხდება ეს ნეტავი მითხრათ? იმათი წინ მძღოლი მოლლების ფანატიკობისგან, როგორც მრავალნი ჩვენგანი აზრალებენ, თუ თავიანთ თავისუფალის მსჯელობისაგან?... არა, მე მგონია, უფრო მათ თავისუფალ მსჯელობას უნდა ჰქონდეს ადგილი. ისინი, ვსთქვათ, მაჰმადიანები არიან და მაჰმადიან ოსპალოს მთავრობას მიელტვიან. ამ ქრისტიანებს რაღაო, კათოლიკეები არიან თუ სომხები, რომ თავლია, ფეხშიშველა, შიშველ-ტიტველი მიექანებიან ოსმალეთში, არც მამული აგონდებათ და აღარც ტკბილი სამშობლო?...

ამ საგანზედ ვჰკითხე მე ერთს ართვინელს, თუ რისთვის აიცრუეთ ეგრეთ გული? მართლა გადასახადი და დამოქნის გარდახდა გემძიმათ, თუ სხვა რამ მიზეზი გაქვსთ?... მიპასუხა ეგენი გარეშე მიზეზები არიან; ჩვენ უფრო მოხელეთ გარყვნილებამ და უსინიდისო მოპყრობამ თვალი გაგვიტეხა. სასულიერო პირთა ჩვენთა, ცივად მიღებამ და მისთანათა!... მანდერ თქვენ ჩვენი ართვინის იოანე ეპის-

ეს ბრძანებაც უმეტ-ნაკლოთ იქნება ასრულებული წესის მოყვარე ქართველთაგან.

ჩვენ სკოლებში ქართული ენის სწავლებამ თავის ზურგზე გამოსცადა ქართული უდარდელობა. ამ დღეებში გამოიცა ტფილისში „კავკასიის სამასწავლო ოკრუგის დღიური“, რომელშიაც არის დაბეჭდილი სასწავლებლის საქმის წაყვანა კავკასიის სანამესტნიკოში, რუსის მთავრობის შემოსავლიდამ დღემდის. ამ მოკლე ხანში ამ სტატიის გამოკრეფას და დაფასებას დავბეჭდავ ჩვენ გაზეთში. ეხლა კი ორიოდე სიტყვა ვსთქვათ იმაზე თუ როგორ მიდიოდა ქართული ენის სწავლება სკოლებში და როგორ მიდის ის დღეს.

პირველი სასწავლებელი, რომელიც გაიხსნა ტფილისში 1802 წ. იყო „ტფილისის კეთილ-შობილთა სასწავლებელი“, რომელიც შემდეგ გადაკეთდა ეხლამდელ გიმნაზიათ. ამ სასწავლებელში ქართულ ენას ეჭირა პირველი ადგილი. ის უნდა ესწავლათ, არამც თუ ქართველებს, ყველა ვინც კი შევიდოდა იმ სასწავლებელში რუსი იქნებოდა, თუ სომეხი. შემდეგ როდესაც ეს სასწავლებელი გიმნაზიათ გადაკეთდა, პირველს ოთხ კლასებში მასწავლებელს ნება ჰქონდათ რო სხვა-და-სხვა საგნები ქართულ ენაზე ესწავლებიათ. 1865-ში ბ. ნევესკოვი რომელიც მაშინ იყო უმთავრესი სკოლის ინსპექტორი სწერდა თავის ანგარიშში: „თითოეულს შეგირდს ვალად უნდა დაედგინოს თავისი სამშობლო ენა შეისწავლოს მეცნიერულათ“ და მეორეს ადგილზე: „**нѣтъ образованія безъ возможно полнаго знанія своего роднаго языка, какъ орудія мысли**“. დღეს, დღევანდელი ოკრუგის უფროსის პროგრამმაშიაც არის ერთი პუნკტი, რომელიც ამბობს: ადგილობრივ ენების შესწავლას საკუთარი ყურადღება უნდა მიექციოსო.

მაგრამ . . . . . .
. . . . . . . .

ლელო

## ქალაქის რჩევის სხდომა

15 ენკენისთვეს.

სხდომას დაესწრნენ 25 წევრნი. თავმჯდომარის ადგილი ეჭირა ქალაქის გამგეობის წევრს ბ. თამამშოვს.

განიხილეს მხოლოდ 5 საგანი, თუმცა დანიშნული იყო 10.

1) ლორის-მელიქოვის თაობაზე რჩევისაგან დადგენილი გადაწყვეტილება (1 სეკტემბ.) დაარჩინეს თავის ძალაში. წაკითხულ იქნა ლორის-მელიქოვის ტელეგრამმა, რომელშიაც გრაფი მადლობას უცხადებს ტფილისის რჩევას იმ თანაგრძნობისთვის, რომელიც იმას აღმოუჩინა ქალაქმა.

2) უარი უყვეს ტელეგრაფის უწყებას, რომელიც თხოულობდა: აღმოეჩინა ქალაქს შემწეობა, რომ ტფილისის სხვა-და-სხვა ადგილებზე გაემართა უწყებას ტელეგრაფის ბიუროები. თავის მხრით რჩევამ მხოლოდ უჩვენა ის ადგილები, სადაც უფრო საჭიროა ამ გვარი ბიუროების გამართვა. ეს ადგილები არიან: მიხაილოვის ქუჩა, ერევნის მოედანი და ავლაბრის ხიდის ახლო-მახლო.

3) მიენდო ცალკე კამმისიას და ქალაქის გამგეობას გამოიძიონ პურის გაძვირების მიზეზი და იმ პლანების გასინჯვა, რომელიც გამგეობამ წარუდგინა რჩევას, ე. ი. გამართონ რამდენსამე ადგილზე ქალაქის ფურნეები, გამოიწვიონ ამ ფურნეების გასამართავად მსურველნი და მისცენ იმათ შემწეობა. თითონ ფურნეები უნდა იქნენ გაკეთებულნი ახალის სისტემით.

4) ბაქოს რკინის გზის ხაზში მოყოლებულ ქალაქის მამულისთვის დაინიშნოს ცალკე დამფასებელი კამისია; ეგრეთვე ამორჩეული იქნას რამდენიმე პირები, ეგრეთვე დამფასებელი, რომელთაც გუბერნატორს დაეხმარონ ცალკე პირთა მამულის ექსპროპრიაციაში.

და 5) ჩუღურეთის და მალაკნების სოფლის გასამაგრებლად დანიშნულ იქნას კამისსია კომპენტეტულ პირებთაგან.

სხდომა დაიხურა 11 საათ.

## ახალი ამბები

—

თელავიდან გაზეთ „კავკაზს“ სწერენ.

ამ დღეებში აქაურ სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს ბ. პიკნაძეს, მის ძმას და სამიოდე სხვა პირთა ს. შალაურში აღმოუჩენიათ ძველთაგან-ძველი აკლდამეები, რომელნიც ემსგავსებიან იმ აკლდამეებს, რომლებშიაც მარხავდნენ მდიდარ რომაელებს. ამასთანავე აკლდამებში აღმოუჩენიათ სხვა-და-სხვა ნივთები, რომლებსაც მიცვალებულებს ჩაატანდნენ ხოლმე, მაგ. დიდი ცულები, ნაჯახები ზედ წარწერით, აგრეთვე ბეჭდები უბრალო და ოქროსი, ესენიც ძველებური ზედ წარწერით. გარდა ამისა ფულები, რომელზედაც არაბულათ სწერია. ერთს ამისთანა აკლდამაში ადამიანის ძვლებთა შორის უპოვნიათ სამაჯეები, (**браслетъ**) რომლებსაც ოქროს ფერი დაჰკრავს.

* *
*

ამავე გაზეთს სწერს ბ. გიორგი წერეთელი, რომ მის მამულში, თხრის დროს აღმოაჩინეს ჭურჭლის ნამტვრევები, რომლებიც როგორც გამოუკვლევიათ, ძალიან ძველი დროს ეკუთვნის.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

ქუთაისი, 14 სეკტემბერს. მასწავლებელთა კრება გაცხარებულ მუშაობაშია. ეს მუშაობა იმ რიგით და იმ წესზე მიდის, როგორც კრების გახსნისათანავე გამოაცხადა ბ. სახალხო სკოლების დირექტორმა: დილ-დილაობით რამდენიმე მასწავლებელი აძლევს სამაგალითო [illegible] გაკვეთილებსა და [illegible] აქვს სჯა და ბაასი ამ გაკვეთილების ღირსებასა და ნაკლულევანებაზედ.

გაკვეთილებს აძლევენ აქაურ ნორმალურ სკოლაში, სადაც რუსულის ენის სწავლებას პირველდღიდგანვე აწყებინებენ ყმაწვილებს და მეექვსე თვეზედ კი ყველას საგნებს ამ ენაზედ ასწავლიან. შეუსაბამოთ და მოუხერხებლად მიმაჩნია ის გარემოება, რომ სოფლის სკოლის მასწავლებელმა ამ გვარს შაგირდებზე უნდა შეიძინონ გამოცდილება და სწავლის გადაცემის წესი. შეუსაბამოთ და მოუხერხებლად იმიტომ, რომ სოფლის სკოლებში პირველ-დაწყებითი სწავლა ქართულს ენაზედ უნდა მიდიოდეს და აქ ამ ნორმალურ სკოლაში კი თითქმის თავიდამვე ეს სწავლა რუსულად მიდის.

მაგრამ ამ გვარმა გამოცდამ, ამ სამაგალითო და გამოსაცდელ გაკვეთილებამ ჩინებული ნაყოფი მოიყვანა: კრება დაარწმუნა (თუ ამას კიდევ დარწმუნება და დამტკიცება ეჭირება), რომ პირველ-დაწყებით სწავლის გადაცემა უცხო ენაზედ ყოვლად-შეუძლებელი საქმეა, არის მხოლოთ უბრალო დროს დაკარგვა როგორც მასწავლებლისთვის, აგრეთვე შაგირდებისათვის, და ამ უკანასკნელების გონების, ტვინის დამახინჯება.

მართლაც გაკვეთილებს აძლევენ ისეთ შაგირდებს ნორმალურ სასწავლებლისას, რომელნიც მეორე წელიწადია რაც სწავლობენ და სწავლობენ რუსულად; ამას გარდა მომეტებული ნაწილი ამათგანი აქაურივე, ქუთათური მცხოვრებლების შვილები არიან, მაშასადამე ამათ თითქმის ნიადაგ ესმის ქალაქში რუსული ენა.

მაგრამ მე მითხრეს, რომ როდესაც სამღვთო წერილს პირველ გამოსაცდელ გაკვეთილს აძლევდა ამათ ერთი მასწავლებელთაგანიო (საუბედუროთ, ამ პირველ გაკვეთილზე მე

---

კოპოსი ზაქარიანი ითხოვეთ ეპისკოპოსად და გაუძნელდა მთავრობას მისი მოცემა თქვენთვის. აგერ წელიწადი მოდის არც ჰოს გეუბნებათ, არც უარს. სჩანს არ უნდა მოსაცემად; მაშინვე რომ მიეცათ, გარდმოვიდოდა დაჯდებოდა ის თქვენში, ჩვენც გული მოგვეგებოდა. ზოგნი თუ ართვინში დავდგებოდით, ზოგნი შემძლენი ტფილისში, ქუთაისში და ახალციხეში გარდმოვიდოდით და ასე შევუერთდებოდით ერთმანეთს სულითა და გულითა, გარნა თავიდგანვე ეგრე ცივად, გრილად მოგვეპყრნენ ჩვენ და ჩვენს სამღვდელოთა, რომ სრულიად იმედ გარდაწყვეტილები შთავვარდით, შეჩვეული ჭირი ვირჩიეთ შეუჩვეველს ლხინსაო!

მოდი, ბატონო, და კიდევ აიღე ხელში კალამი და გამოსთქვი შენი აზრი. რაო? რისთვის? რაღაი ყველანი მიდიან, იყრებიან და ოხერ ტიალად სტოვებენ თავიანთ ტკბილ სამშობლოს ჩვენს საყვარელს მამულსა, რა სარგებელი და რა სანუგეშო ამდენი ჭრა, კვლა, სისხლის ღვრა, და ქცევა და აოხრება ქალაქ სოფლებამდის მრთელი ჩვენის ქვეყნისა, რომლისგან მოსულს მამასისხლად სიძვირეს ვეღარავინ დავსდგომივართ?!. „თვალო მიტომ მინდოდი, ზურაბისთვის მემზირაო!“

გავლილ თვეში ჯავახეთისკენ მომიხდა გავლა. ჭირნახული კარგი დამხვდა ყოველგან, მითხრეს ეშტიას ეკკლესიას აახლებენ და რაღაც ნაწერები აღმოჩენილა ძველ ეკკლესიის ქვებზედაო. იმ დღესვე მიველ სანახავად, ეშტიის სოფელში ალაშკერტითგან გადმოსახლებული სომეხთ კათოლიკენი არიან, სოფელი კარგ სახნავ-სათესიან ალაგას არის, ძველი მოდიდო ეკკლესია ყოფილა წმინდა თლილის ქვით ნაშენი. როგორც სჩანს სასაფლაოს ქვების ძეგლებიდგან, ადრე თუშებს უნდა ეცხოვროსთ აქ. ნაწერი ცოტა იყო. „წმიდა სტეფანე შეიწყალე სული ჩემიო“, ხუცურად ეწერა. სჩანს ეს ეკკლესია წმიდა სტეფანე პირველ მოწამის სახელობაზედ ყოფილა აღგებული. ამ ეკკლესიის ორი კედელი ჩამოქცეულა და სიგძე განს უმატებდნენ ისევ ძველივე თლილის ქვებითა! იმ ღამეს სოფ. კარეტიკაში დავრჩი, რადგან დამიღამდა გზაში. ამ ხსენებულ სოფლებში მშვენიერად მოწყობილი სკოლები აქვსთ, მაგრამ მასწავლებლები კი აკლიათ, მხოლოდ ზამთრით იჭერენ შინაურ მასწავლებლებს და ადგილობრივი მღვდლების შემწეობით სწავლობენ მოწაფენი სომხურ წერა-კითხვას, მოძღვარებას და საეკკლესიო საგალობელს.

მეორე დღეს ახალქალაქს ვეახელით. ნაშუადღევს ს. კუმურდოს გავიარე, სადაც აზრუმიდგან გადმოსახლებული სომხები დგანან სამოციოდე მოსახლე. ამ სოფლის შუა დგას ჩინებული ეკკლესია საეპისკოპოზო, რომელიც შეადგენდა აწყვერის სამიტრაპოლიტოს თორმეტ საეპისკოპოსაგანსა. ამ ეკკლესიის ჯვარედინი ტაძარის გვირგვინი მოქცეულია და კედლები ისევ მტკიცედ სდვას, მხოლოდ აღმოსავლეთის სამხრის მხარე გატეხილი არის მტრისაგან და ქვები რამდენიმე საჟენი სიგრძეზედ შემოცლილი. ეს ეკკლესია ანის სომხის დედა ეკკლესიის გეგმზედ ყოფილა აღშენებული მეთერთმეტე საუკუნოების დასაწყისს. მგონი ტაძარი უფრო წინად დავით კურაპალატის დროს და შვეტი კი (ერის სადგომი) გიორგი მეფის და მისი დედოფალი მარიამის დროს. ტაძრის კედლები საკვირველად მაღალი არის და საუცხო წითელი ქვით ნაშენი გასაოცარის ხელოვნებითა. მრთელი ეკკლესიის სიგრძე 128 ფეხი არის და სიგანე 56. ახლა ალექსანდრაპოლს სომხებმა რომ ეკკლესია აღაშენეს ანის ეკკლესიის პლანზედ, ისე ჰგავს ამ კუმურდოს ეკკლესიას ყოვლითურთ, როგორც ფრანგის ხატს დაემსგავსება ყიზილბაშების მხატვრობა.

ვერ დაეესწარი) და როდესაც ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა ნახა — თუ როგორ ოთუთიყუშებივით დაესწავლათ შაგირდებს რუსულად რამდენიმე ლოცვა, რომლის გაგება არ ჰქონდათ, რომელიც სრულად არ ესმოდათ, ყოვლად-სამღვდელო ძალიან შესწუხდა და სთქვა, რომ ეს არის შეურაცყოფა შეგინება სამღვთო წერილის სწავლისა, ამ გვარად სწავლას ისევ ის სჯობიან, რომ სულ არა ისწავლონ რა ყმაწვილებმაო; სხვა საგნები როგორც გერჩიოსთ ისე ასწავლეთ, მაგრამ, თუ გინდათ, რომ ამ ყმაწვილებიდამ საბოლოოდ კარგი მორწმუნე ქრისტიანები გამოვიდნენ, გთხოვთ სალმთო წერილი ისე ასწაელეთ, იმ ენაზედ გარდაეცით, რომელიც ბავშვებს ესმითო!

მე დაევესწარი ორს სამაგალითო გაკვეთილზე: რუსულის ენისა ბატ. ბაზილევიჩის და სამღვთო წერილისა მ. დ. ლამბაშიძისა. ორთავემ მართლა ჩინებული პედაგოგიური ნაჭი გამოიჩინეს, ჩინებულად, ყველა პედაგოგიურ წესის დაცვით გარდასცეს შაგირდებს გაკვეთილის საგანი. მაგრამ, მე დარწმუნებული ვარ, ორივე ეს პატივცემული მასწავლებელი დამეთანხმება იმაზედ ამათ გაკვეთილებს თითქმის სრულიად არავითარი სარგებლობა არ მოუტანია შაგირდებისათვის. ამის მიზეზი მხოლოთ ის გახლდათ, რომ ესენი რუსულად ასწავლიდნენ, რუსულ ენაზედ უხსნიდნენ თავიანთ საგნებს ყმაწვილებსა. ბ. ბაზილევიჩი, ხედავდა, ჩემი სიტყვა არ ესმით ბავშვებსაო, სხვებს სთხოვდა ქართულად გადაუთარგმნეთო! მ. დ. ლამბაშიძემ მთელი საათი გაატარა მხოლოდ იმის რუსულად ახსნაში მარიამ მღვთის მშობლის დედ-მამა იოაკიმ და ანნა იყოვო, და თუ ეს ერთი წინადადება დაისწავლეს ბავშვებმა, უეჭველია, მეორე დღეს ისევ დაავიწყდებოდათ, რადგან დაისწავლეს სწორეთ ისე, როგორც თუთიყუშებს ასწავლიან ხოლმე რამდენიმე სიტყვის გამოთქმას.

ვიმეორებ, თუ ესევ მოხდა ქალასის ნორმალურ სკოლაში, სადაც ყმაწვილებს მეორე წელიწადი ასწავლიან რუსულად, სადაც ყმაწვილები მუდამ ცხოვრებენ და რუსული ხშირად ესმისთ, რა უნდა მოხდეს, როგორა უნდა წავიდეს რუსულ ენაზედ სწავლა სოფლის სკოლაში, სადაც ყმაწვილებს რუსული სიტყვა თავის დღეში არც კი გაუგონიათ?

სწორეთ ამ გვარივე აზრი არის ამ საგანზედ ქუთაისის გუბ. სახალხო სკოლების ახლანდელი დირექტორი ბ. მარსოვიც. ჩვენ გავიგონეთ იმისაგან ნათქვამი სიტყვები: თუ რას შეითვისებენ შაგირდები ამ გვარის (ე. ი. რუსულ ენაზედ) სწავლით, მხოლოთ მეხანიკურად შეითვისებენო, ვერაფერს ვერ გაიგებენო, და სოფლის სკოლებში ამ სისტემით სწავლა ყოვლად შეუძლებელიაო.

მაგრამ ბოროტი ენები ამბობენ, ვითომც კავკასიის მხრის სწავლა-განათლების მოთავის სურვილი იყოს, რომ ჩვენს სასოფლო სკოლაში სწავლა და საგნების გარდაცემა მეორე წლიდამ დაიწყონ რუსულს ენაზედ. ჩვენ არ გვჯერა ამ გვარი არა-პედაგოგიური სურვილი ჩვენი სახალხო განათლების მთავრობისა; არ გვჯერა იმიტომ, რომ ამ სურვილის შესრულება იქნებოდა ყოველ პედაგოგიურ წესის დარღვევა, იქნებოდა ყმაწვილების გონების დამახინჯება და დაბრკოლება, და არა წარმატება, ხალხის განათლებისა; არ გვჯერა კიდევ იმიტომ, რომ, რამდენათაც ჩვენ ვიცით და გაგვიგია, ახლანდელი მოთავე ჩვენის განათლების საქმისა ბ. იანოვკი, ისეთი კაცი არ არის, რომ სწავლა-განათლების საქმეში პოლიტიკურს ან რომელსამე სხვა მიზანს გამოეკიდოს; ხალხის განათლების საქმე შესწიროს ამ გარეშე მიზანს...

მასწავლებელთა კრების საზოგადო აზრი, რამდენადაც ჩვენ შევიტყეთ ის არის, რომ სოფლის შკოლაში რუსულ ენაზედ სწავლა არც პირველ, არც მეორე და არც მესამე წელიწადს არას გზით არ შეიძლება. მხოლოდ მეორე და მესამე წელიწადს შეიძლება შაგირდებს ვასწავლოთ რუსული ენა, როგორც საგანიო.

ეს ყოვლად მოსაწონი აზრი მასწავლებლებს თავის გამოცდილებით შეუთვისებიათ და ახლა, როდესაც ხედვენ გამოსაცდელ და სამაგალითო გაკვეთილებს, საუკეთესო მასწავლებლებისაგან აქ მიცემულებს, ახლა უფრო რწმუნდებიან, რომ სოფლის შკოლაში რუსულ ენაზედ სწავლას სწორედ ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

# უცხოეთი

**წვრილი ამბები:** ლონდონიდამ „კელნის“ გაზეთს სწერენ: „აქაურს პოლიტიკურთ და ფინანსიურთა წრეებში დიდს არეულობას მოელიან აღმოსავლეთის საქმეებში. ეხლა გლადსტონს საქვეყნოდ ამტყუნებენ, ვითომც მას ჰსურდეს რუსეთთან დაზავება და იმის დახმარებით ოსმალეთის დამხობა. ამ ნაირად მას ბრალად ედება ინგლისის საშიშ საქმეებში გართვის წადილი. მეგობრულ რჩევას გლადსტონი ყურს სრულიად არ უგდებს. საფრანგეთზე ის ეხლა ძალიან გულმოსულია, რადგანაც მისგან მოტყუებული დარჩა ოსმალეთის შესახებ საქმეში, კონსერვატორების გაზეთნი დაბეჯითებით აფრთხილებენ სამინისტროს და რადიკალების კიკვალში ჩადგომით ურჩევენ მას ხონთქარის ჯიუტობას დასძლიოს ჩერნოგორიის, საბერძნეთის და სომხეთის შესახებ საქმეში.“

—

ბისმარკს ამ ჟამად აწევს ოთხი თანამდებობა. იმპერიის კანცლერობა, გარეგანი საქმეთა მინისტრობა, პრუსიის მინისტრების რჩევის თავმჯდომარეობა და ვაჭრობის მინისტრობა. ამაზედ ბერლინის გაზეთი „ტაგბლატი“ ამბობს: ნუ თუ იქამდინაც მივახწიეთ, რომ ამ გვარი ადვილი თანამდებობის აღსასრულებლათ, როგორიც ვაჭრობის მინისტრობაა, შესაფერი პირი ვეღარ მოვნახეთ. ნუ თუ, კანცლერის გარდა, აღარავინ არის, რომ ამ თანამდებობის აღსრულება შეიძლოს. მაშასადამე უნებლიეთ უნდა იკითხოს კაცმა: რა მოგვივა მაშინ, როდესაც ბისმარკი აღარ გვეყოლება.“

—

ბელგიელ გაზეთში *Independance Belge*-ში იწერებიან ლონდონიდამ. რუსეთის პური ეხლა ვეღარ შეეცილება ამერიკის პურს, რადგანაც უკანასკნელი ეხლა და ეხლა საუკეთესო თვისების შეიქნა და იმ ფასათაც ისყიდება ინგლისის მაზრებში, რაფასათაც რუსეთი ვერ გაყიდის.

## თფილისის სამკურნალო.

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდის.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი — ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი — შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი — ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუხარიანცი — ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი — ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი — ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი — თვალისა, ბაბოვი — გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბასუტოვი — ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., გერმიშევი — შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი —

---

მრავალი ნაწერები ჰქონდა გარშემო კედლებზედ ხუცურად, მაგრამ მილამდებოდა რაც მოვასწარ ის გადავსწერე და დანაშთსაც სხვა დროსთვის გარდავსდებ. აღმოსავლეთის კედელზედ თავში წითელი ქვის შვენივრად ჩასმული ჯვარი აქვს და კანკელის თავსა და ჯვარს ქვეშ აწერია: „ქრისტე შეიწყალე იოანე ეპისკოპოსი, ამისი მაშენებელი დღესა მას“. სამხრეთის ტაძრის კარის შესავალს ქუდზედ კამარედად აწერია: „ქ. სახელითა ღვთისათა მე ეფრემ ეპისკოპოზმან დავსდევ ალაპად გაბრიელ კისიას მეხუთე დღე ყველიერისა“. მის ზემოდ აწერია კარის ქუდ გარე: „პარასკევი დღესასწაული წმიდათა მთავართა ანგელოზთა ა. გიორგი ღვთის მსახურ მეუფისა სრული, ვინც შესცვალოს კრული არს ამით ხატითა და ჩემითა ჯვარითა. ქრისტე შეიწყალე სული გაბრიელ კირისა ამინ.“ ესევე არის გაბრიელ ეპისკოპოსი. ამას იქით აწერია იქავ: „ქ. სახელითა ღვთისათა, მე გაბრიელ ეპისკოპოსმან დავუდევ ალაპად ბზობის პარასკევი მოლოზანს დღესასწაული წმიდათა მღვდელთ-მოძღვართა, ვინც სრულებით არა განაგოს და იხადოს, კრულ ამით ხატითა და ჩემითა ჯვარითა“.

კარის ქუდს გაყოლება აწერია ბერძნის ასოებითა. თქმა არის ა. გიორგი მეფის წინად ყოფილი პატივცემული პირისათვის, როგორც მას ზემოდ დამრჩა ბერძნი ნაწერები რომ ვერ მოვასწარ: „ქ. სახელითა ღვთისათა მე იოანე ეპისკოპოსმან დავუდევ დღე აღვსებისა (აღდგომისა) ალაპად ვახე ერისთავსა. ვინც შეცვალოს კრული არს ამით ხატითა და ჯვარითა ჩემითა“. მის ქვემოდ: „ქ. სახელითა ღვთისათა მე გაბრიელ ეპისკოპოსმან დავუდევ ალაპად დღე მგნატის შელათისა. ვინც შეცვალოს კრული არს ამით ხატითა და ჯვარითა ჩემითა.“ ამასთანავე: „ქ. სახელითა ღვთისაგა მე ზოსიმე ეპისკოპოზმან შევმოსე საკურთხეველი ბარძიმ ფეხშუმითა და ჯვარითა რიდა (ასათი დრაჰკანისა) შევამკევი ხატითა. . .“ შემდგომი ძნელად ამოსაკითხია. საერთო ეკკლესიის სამხრივ კარნიზის თავს სიგრძი-სიგრძეზედ დიდი ასოებით აწერია: „თი მარიამ დედოფალი, აღეშენა შვეტი ესე (საერო სადგომი) მეფობასა მათსა მღვდელთ-მოძღვრობასა ზოსიმე კუმურდელისა.“ ეს ხსენებული შვეტი სომხებს აქვთ ეკკლესიად და ტაძარი დატოებულია ნაოხრად. ჩრდილოს ტაძრის ერთი სენეკი აქაურ მღვდელს პურის ბეღელად გარდაუკეთებიან და კარზედ კლიტე უძევს.

აქ მოხსენებული მარიამ დედოფალი ვასპურაკანის სომხის მეფის სენაქერიმის ქალი იყო. ამ სენაქერიმის მეფის მიდგომა ასურეთის იმ სენაქერიმ მეფის მიდგმითგან იყო, რომელიც ეზეკია მეფის დროს შემოადგა პალესტინის მაგარ ქალაქებსა და ლაქირთ გაუგზავნია მოციქულად რაფსაკ დიდებული ეზეკია მეფეს, რომ ერთიან სახლით, კარით, ცოლით, შვილით და ყოფა-ცხოვრებით ჩაჰბარებოდა იმას... ვარნა ერთ ღამეს ანგელოზმან ღვთისამან გაუწყვიტა რა 185,000 კაცი სენაქერიმს, მეორე დღეს სირცხვილეული გაიპარა თავის ქვეყანას. აი რასა სწერს ესაია წინასწარმეტყველი: „და უკუნქცეული წარვიდა სენაქერიმ მეფე ასსურასტანელთა და დაადგრა ნინევს შინა და თაყვანისცემასა შინა მისსა, შორის სახლსა ასარახ ღმერთისა მისისა, ადრამელიქ და სარასარ ძეთა მისთა დასცეს იგი მახვილებითა, ხოლო იგინი განრომილ იქმნეს სომხეთად“. ლზ. ამათ მოდგმა გამეფდნენ ვასპურაკანს და მეფობდნენ ქრისტიანობამდის. შემდგომ ხომ ვასპურაკანი ბერძნებს გარდასცეს ამ მეფეებმან და ნეოკესარიის მხარი და სებასტია დაიჭირეს კერძად.

ვინმე მესხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, ჰომერანცოვი—გულის.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს:** ჟურავლევი—ყელისდა გულას ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუზარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაზოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შ ა ბ ა თ ს:** ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის ბაზოვი—გულისა და შიგნეულების და ვერმიშევი — შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბ ა ზ ა ე ვ ი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი)

დოქტორი ჟ უ რ ა ვ ლ ე ვ ი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ო ბ რ ე ხ ტ ი ავათმყოფეას, კისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპექ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალმბისათვის.

---

# განცხადებანი

—

## ახალი გამოფენა

ოთხი თვის მოქმედების ნაყოფი

„ფილიპოვისა და ამ.“ ფოტოგრაფიისა

(საგანგებოდ აშენებულს სახლში)

გოლოვინის პროსპექტი, თ. ი. ზუბალოვის სახლი ტფილისის კრების გვერდით, ყოველ-დღე დილის 9 საათიდამ საღამოს 8-მდე.

10—2

---

**ქუთაისის ქალაქის გამგეობა** ამცხადებს, რომელ ოთხ რიცხვს მომავალ ოკტომბერს გამგეობის პრისუსატვიაში არის დანიშნული ვაჭრობგაცემისთვის **ქალაქის სასწორისა** კვალად გადაუდებლად **სამის წლის** ვადით. ვაჭრობა დაიწყება თორმეტ საათზე და გათავდება ორს საათზე ნაშვადღევს ვაჭრობა იქნება როგორც სიტყვიერათ, აგრეთვე დაბეჭდილი კონვერტით, პირობების განხილვა ვისაც 'სურს შეუძლია განიხილოს უპრავის კანცელარიაში დილის რვა საათიდგან ვიდრე ორს საათამდე ნაშვადღევს ყოველ დღივ.

---

რ ე ს ტ ო რ ა ნ ს

## შვეიცარიაში

17 სეკტემბრიდამ ოთხშაბათობით და კვირაობით დაუკრავს სამხედრო მუზიკის ხორო. დასაწყისი საღამოს 7 საათზედ.

---

მომავალი ოკტომბრის პირველიდამ ამა წლისა ვხსნი ქ. **გორში** სახლს, რომელშიაც ამ წლობით, ე. ი. მამავალ 1881 წლის ენკენითვემდი, **მიიღებიან** თხუთმეტიდამ ოცამდე **მოსწავლე ბავშვები** რომელთაც ექნებათ საწოლი, სასადილო და საკითხავი ოთახები. ამავე სახლში მიიღება ჯერ-ჯერობით მუქთად ერთი რომელიმე ძალიან ღარიბი მოსწავლეთაგანი, ვინემ ადგილობრივს სასწავლებელს გაათავებდეს; ამასთანავე ბავშვებზე იქნება ზედამხედველობა მათის ზნეობის დასაცველად და სწავლაზედ თვალის დაჭერა. მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ პირობების და ფასის შესატყობლად ქ. გორში, საკუთარს სახლში.

ადელა იუთაევი.

(10—6)

---

ქ. გორში გაიღო

## მარიამ ქერესელიძისაგან

### ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება კოპინაშვილის სახლში ოქონის ეკკლესიის მახლობლათ, სადაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამ მაღაზიას ამ ადრესით:

Въ Гори, въ книжный магазинъ Маріи Кереселидзе.

(12—12)

---

**პატენტიანი შროტკები**

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუზ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—53)

---

შ ე ნ ი შ ნ ვ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ხლა 2 მაეთად დირს.

(100—49)

---

დამშეულთ სასარგებლოდ ყოფილის გამოფენის დაბოლოვებით მოსპობის გამო არის

დ ი დ ი

## დაყიდვა

ზეთიერი და აკვარელის სურათებისა გასაკვირველ იაფად, ბ. მირზოევის ყოფილს სამხატვრო გამოფენაზე, გოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლში ვესტლის ფოტოგრაფიის გვერდით. გაყიდვა იწყება ამ თვის 4-დამ ამავე წლის 1 პირველ ოკტომბრამდე. იმავ რიცხვიდამ გამოფენის სადგომის ერთი წილი ჰქირავდება. იქვე ეზოში იყიდება რკინის განჯინები (შკაფები).

(8—4)

---

## ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

შეადარეთ ჩვენი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ნაის—1 მ.40 კ.

| | |
|---|---|
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ დის.

(100—34)

---

ი ყ ი დ ე ბ ა

ახალი წიგნი

სამწერლო

## თაიგული

შ ი ნ ა ა რ ს ი:

**I.** ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა **II** უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა. **III** ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა. **IV** მ... სადმი (ლექსი) გ—სა. **V.** ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან. **VI** ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთვისა. **VII** ხასიათის გავლენა, სამუელ სმაილსისა **VIII** უგითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა. **IX** ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში. **X** მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე და „არარატის“ წიგნის მაღაზიაში მიხაილოვის ხიდთან.

ქუთაისში პ. ფ. გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ხუთი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

---

დ ა ი ბ ე ჭ დ ა  დ ა  ი ს ყ ი დ ე ბ ა



ლექსები იოსებ დავითოვისა.

გამოცემული ი. დავითოვისა და ვარდენ გოცირიძისაგან.

ფასი ორი შაური

**ისყიდება** შემდეგ ალაგებში: ტფილისში—გრ. ჩარკვიანის და სხვების წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში—გერარდის წიგნის მაღაზიაში. გორში—ტატო ლოთიაშვილის საბაყლო დუქანში. თელავში—კირილე ჯაჭვაძესთან (აფთიაქში). ონში (რაჭაში) თ. ერმილე მიქელაძესთან და საგარეჯოს—სასოფლო დეპოში.

(6—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ 16 Сентября 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი